

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის, დატვირთვების და სახელფასო პოლიტიკის განსაზღვრის წესი

1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ძირითად მოვალეობებს, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადანაწილებას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო პოლიტიკას.

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათი თანაფარდობა

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ძირითადი მოვალეობები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის მისიაზე, სტრატეგიაზე და მიზნებზე დაყრდნობით.

2.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალს, რომელიც წარმართავს სასწავლო პროცესს, ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით/კვლევით მუშაობას, ახდენს ცოდნის გენერირებას, ჩართულია კვლევით საქმიანობაში, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პროექტებში/კონფერენციებში და ა.შ, ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადად უნივერსიტეტის განვითარებაზე, მონაწილეობს უნივერსიტეტის მართვაში და მონაწილეობს უნივერსიტეტის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში;

2.2. სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების რიგი სასწავლო კურსების განხორციელებას. მას ასევე უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით/კვლევით მუშაობაში, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადად უნივერსიტეტის განვითარებაში, მართვასა და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში;

3. აკადემიური პერსონალის დატვირთვა

3.1. აკადემიური პერსონალის საქმიანობა მოიცავს: სწავლებას, კვლევას და ადმინისტრირებას.

- 3.2. აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის სქემა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ეფექტურ და ეფექტიან მუშაობას;
- 3.3. აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:
 - 3.3.1. წინამდებარე წესის 3.1. პუნქტით დადგენილი საქმიანობის მიღმა პერსონალს ეძლევა პიროვნული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა;
 - 3.3.2. აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრავად გათვალისწინებულია პერსონალის კვალიფიკაცია და მისი საქმიანობა, კერძოდ პერსონალის მიერ ჩატარებულ სასწავლო კურსის/კურსების მოცულობა, პერსონალური ტრენინგები და/ან გამოცდილება, ახალი პერსონალის საჭიროებები, ჩასატარებელი კვლევების სირთულე და ა.შ;
 - 3.3.3. დატვირთვის გადანაწილება ეფუძნება სტუდენტთა და სასწავლო კურსების რაოდენობას, კვლევითი პროგრამების ხელმძღვანელობას, წინასწარ შეთანხმებულ და სკოლის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დადასტურებულ გრანტების განაცხადებს, მიღებულ გრანტებს, გამოქვეყნებულ სტატიებს, კონფერენციებს და ა.შ.
 - 3.3.4. აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა განისაზღვრება არაუმეტეს 40 საათის ოდენობით. სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება წელიწადში 46 კვირაზე (წლიწადის 52 კვირიდან 6 კვირა მოიცავს საშვებულებო პერიოდს და დასვენების დღეებს). სულ წლიური დატვირთვა შეადგენს არაუმეტეს 1,840 საათს;
 - 3.3.5. აკადემიური პერსონალის კვირეული სალექციო საათების ოდენობა სემესტრში/ტრიმესტრში არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს.
- 3.4. აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება მის მიერ შესასრულებელი სამუშაოებით და ის განსხვავებულია სხვადასხვა აკადემიური პერსონალისთვის;
- 3.5. აკადემიური პერსონალის დატვირთვა გადაიხედება ყოველწლიურად სასწავლო წლის დაწყებამდე. ხოლო მისი დაზუსტება ხდება სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში;
- 3.6. აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის სქემა მოცემულია დანართი 1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს.

4. აკადემიური პერსონალის რაოდენობის დადგენა

- 4.1. აკადემიური პერსონალის რაოდენობა დგინდება ყოველწლიურად;
- 4.2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის შესარჩევად კონკურსის გამოცხადება ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით;

4.3. აკადემიური პერსონალის რაოდენობის დასადგენად:

4.3.1. სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განისაზღვრება პრიორიტეტული მიმართულებები ან/და დარგები;

4.3.2. დადგენილი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განისაზღვრება მომდევნო სასწავლო წელს განსახორციელებელი სასწავლო კურსების რაოდენობა (N);

4.3.3. წინამდებარე წესის 4.3.2 პუნქტით დადგენილი სასწავლო კურსების რაოდენობით (N) და დაშვებით - ერთი განმახორციელებელი შესაძლოა კითხულობდეს მაქსიმუმ ორ სასწავლო კურსს, განისაზღვრება განმახორციელებელი პერსონალის მინიმალური (Lmin) და მაქსიმალური (Lmax) რაოდენობები;

კერძოდ,

$$L_{min}=N/2, \text{ ხოლო } L_{max}=N;$$

4.3.4. წინამდებარე წესის 4.3.3 პუნქტით დადგენილი განმახორციელებელთა დასაშვები რაოდენობითა და დაშვებით - აკადემიური პერსონალის რაოდენობა წარმოადგენს განმახორციელებელი პერსონალის არანაკლებ 50%-ს, განისაზღვრება აკადემიური პერსონალის დასაშვები მინიმალური (Amin) და მაქსიმალური (Amax) რაოდენობები;

კერძოდ,

$$A_{min}= L_{min} /2 \text{ და } A_{max}= L_{max}/2;$$

4.4. პრიორიტეტული დარგის მიხედვით აკადემიური პერსონალის მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობები განისაზღვრება წინამდებარე წესის 4.3.4 პუნქტით დადგენილი აკადემიური პერსონალის რაოდენობის მიხედვით და შეადგენს აკადემიური პერსონალის მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობების 60%-ს, ხოლო დარჩენილი დარგების მიხედვით აკადემიური პერსონალის რაოდენობები განისაზღვრება უშულოდ სკოლის გადაწყვეტილებით.

4.5. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთებისა და სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გაზარდოს წინამდებარე წესის 4.3 პუნქტით დადგენილი აკადემიური პერსონალის ზღვრული რაოდენობა.

4.6. წინამდებარე წესის 4.3 პუნქტით დადგენილი აკადემიური პერსონალის ზღვრული რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, ყველა გარემოების შესწავლისა და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება აკადემიურ პერსონალთან მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

5. აკადემიური პერსონალის აფილირება

- 5.1. აფილირება გულისხმობს, დაწესებულებასა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტთან. სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და სასწავლო უნივერსიტეტში:
 - 5.1.1. ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით/კვლევით საქმიანობას და ამ საქმიანობის შედეგები ეთვლება შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტს. ამასთან, სხვადასხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე დაფუძნებული კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის შედეგები ჩაეთვლება სხვა დაწესებულებასაც სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით;
 - 5.1.2. აქტიურად არის ჩართული სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით/კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
 - 5.1.3. აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და სამეცნიერო კვლევით/კვლევით საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.
- 5.2. აფილირებულია უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, ვისაც წინამდებარე წესით დადგენილი პირობების თანახმად, უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება (დანართი №2).
- 5.3. აფილირების შეთანხმება წარმოადგენს აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და აკადემიური პერსონალი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე შეთანხმების მოთხოვნები.
- 5.4. სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
- 5.5. სასწავლო უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაამოწმოს აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
- 5.6. აფილირებული აკადემიური პერსონალი გამონაკლის შემთხვევაში უფლებამოსილია განახორციელოს საგანმანათლებლო-სააღმოსწავლო საქმიანობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

6. აკადემიური პერსონალის სახელფასო პოლიტიკა

6.1. აკადემიური პერსონალის ანაზღაურება წარმოადგენს მის მიერ უშუალოდ ჩატარებული სალექციო საათების (სწავლების) ანაზღაურებისა და არასასწავლო ტიპის აქტივობების ანაზღაურებათა ჯამს:

$$Y = Sh + S,$$

სადაც

- $Sh = H \cdot AS_{min}$ – სწავლების ანაზღაურება;
- H – ჩატარებული საათების რაოდენობა;
- AS_{min} – საათობრივი ანაზღაურება;
- S – არასასწავლო აქტივობათა ანაზღაურება;

6.2. საწყისი საათობრივი ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით $AS_{min} = \text{ბაზ}_{av} \cdot k$, სადაც ბაზ_{av} – ბაზარზე აკადემიური პერსონალის საშუალო საათობრივი ანაზღაურებაა, ხოლო k – კოეფიციენტი შეიძლება მერყეობდეს: 1.3–1.5–ის დიაპაზონში;

6.3. საბაზრო ტარიფებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ბაზ_{av} გადაიხედება ყოველ ორ წელიწადში, ასევე უსდ–ს ბიუჯეტიდან გამომდინარე ამავე პერიოდში გადაიხედება k კოეფიციენტი;

6.4. სტუდენტთა მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების საშუალო მაჩვენებელზე (PEV_{av}) და სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე დაყრდნობით განისაზღვრება აკადემიური პერსონალის ფინანსური წახალისების საკითხები. კერძოდ:

6.4.1. $PEV_{av} \geq 87.5\%$, პერსონალის საათობრივი ანაზღაურება იზრდება $2x$ ლარით. აღნიშნული დიაპაზონის მიხედვით ხელფასის მატება განიხილება სასწავლო კურსის მეორე და შემდეგ ჯერზე წაკითხვის შემთხვევაში;

6.4.2. $82.5\% \leq PEV_{av} < 87.5\%$, პერსონალის საათობრივი ანაზღაურება იზრდება x ლარით;

6.4.3. $80\% \leq PEV_{av} < 82.5\%$, პერსონალის საათობრივი ანაზღაურება რჩება უცვლელი და არის S_{min} ტოლი;

6.4.4. ზრდის მაჩვენებელი x ლარი განისაზღვრება უსდ-ს ბიუჯეტზე დაყრდნობით.

6.4.5. წინამდებარე წესის 6.4.1 და 6.4.2 ქვეპუნქტებით დადგენილი სახელფასო მატების სქემა მოქმედებს სასწავლო კურსში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (ქულების) ნორმალური განაწილების შემთხვევაში, დასაშვები გადახრით.

6.5. ანაზღაურება, S განისაზღვრება დატვირთვების (მაგ. დაგეგმილი კვლევები, პროექტები, გამოქვეყნებები და ა.შ), მოსალოდნელი შედეგებისა და მესრულების მაჩვენებლების მიხედვით და არ აღემატება Sh - ს.

7. მოწვეული პერსონალის სახელფასო პოლიტიკა

- 7.1. მოწვეული პერსონალის საწყისი საათობრივი ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით $S_{min} = \text{ბაზ}_{av} * k$, სადაც ბაზ_{av} – ბაზარზე ლექტორების საშუალო საათობრივი ანაზღაურებაა, ხოლო k – კოეფიციენტი შეიძლება მერყეობდეს: 1.3–1.5–ის დიაპაზონში;
- 7.2. საბაზრო ტარიფებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ბაზ_{av} გადაიხედება ყოველ ორ წელიწადში, ასევე უსდ–ს ბიუჯეტიდან გამომდინარე ამავე პერიოდში გადაიხედება k კოეფიციენტი და დადგინდება მოწვეული პერსონალის მინიმალური ხელფასი;
- 7.3. საათობრივი ანაზღაურება განისაზღვრება კონკრეტულ სასწავლო კურსში თითოეული სემესტრის/ტრიმესტრის დასაწყისში;
- 7.4. სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსში პედაგოგის შეფასების საშუალო მაჩვენებელზე (PEV_{av}) და სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე დაყრდნობით განისაზღვრება მოწვეულ პერსონალთან შემდეგი თანამშრომლობისა და ფინანსური წახალისების საკითხები. კერძოდ:
 - 7.4.1. $PEV_{av} \geq 87.5\%$, მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება იზრდება $2x$ ლარით. აღნიშნული დიაპაზონის მიხედვით ხელფასის მატება განიხილება სასწავლო კურსის მეორე და შემდეგ ჯერზე წაკითხვის შემთხვევაში;
 - 7.4.2. $82.5\% \leq PEV_{av} < 87.5\%$, მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება იზრდება x ლარით;
 - 7.4.3. $80\% \leq PEV_{av} < 82.5\%$, მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება რჩება უცვლელი და არის S_{min} ტოლი;
 - 7.4.4. $PEV_{av} < 80\%$, უსდ უფლებას იტოვებს შეწყვიტოს მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება;
 - 7.4.5. ზრდის მაჩვენებელი x ლარი განისაზღვრება უსდ–ს ბიუჯეტზე დაყრდნობით.
 - 7.4.6. წინამდებარე წესის 7.4.1 და 7.4.2 ქვეპუნქტებით დადგენილი სახელფასო მატების სქემა მოქმედებს სასწავლო კურსში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (ქულების) ნორმალური განაწილების შემთხვევაში, დასაშვები გადახრით.

8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის სქემა

აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს, როგორც სტუდენტებთან სააუდიტორიო შეხვედრებს და სალექციო მასალის პრეზენტაციას, ასევე სასწავლო კურსის/კურსების მასალების მომზადებას და მათ ტესტირებას, სტუდენტთა ნაშრომების შეფასებას და უკუკავშირის მიცემას, სტუდენტების კონსულტირებასა და საჭირო რჩევების მიცემას (არა მხოლოდ კურსის ფარგლებში, არამედ ზოგადად კარიერაში და საქმიანობაში), კვლევასა და სწავლების განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების ინიცირებასა და განახორციელებას, სასწავლო უნივერსიტეტის მხარდაჭერასა და სხვადასხვა სერვისებში მონაწილეობას.

აკადემიური პერსონალის დატვირთვის ფორმულა განისაზღვრება შემდეგი სახით:

$$FW = TW + RW + AW + SW$$

სადაც

- FW - სრული დატვირთვა საათებში/პროცენტებში
- TW - სასწავლო დატვირთვა საათებში/პროცენტებში
- RW - კვლევების ჩასატარებლად საჭირო დატვირთვა საათებში/პროცენტებში
- AW - ადმინისტრაციულ საქმიანობაზე გამოყოფილი დატვირთვა საათებში/პროცენტებში
- SW - თვითგანვითარებაზე საჭირო დატვირთვა საათებში/პროცენტებში

სწავლება

სწავლების ნაწილში გათვალისწინებულია, როგორც უშუალოდ საკონტაქტო შეხვედრა სტუდენტებთან (აუდიტორიაში ჩატარებული საათები), ასევე დამოუკიდებელი მუშაობისთვის (სასწავლო კურსის მომზადება, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება და უკუკავშირის მისაცემა) საჭირო დრო და საკონსულტაციო საათები; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა შეადგენს 1.33-ს, რაც გულისხმობს 3 საათიანი სააუდიტორიო ლექციის ჩასატარებლად პედაგოგს სჭირდება 4 საათი დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ხოლო საკონსულტაციო საათები განისაზღვრება საკონტაქტო საათების 20%-ის ოდენობით. სასწავლო დატვირთვა შეიძლება მოიცავდეს არამხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ჩატარებას, არამედ სასწავლო უნივერსიტეტის სახელით ღია ლექცია/ლექციები ჩატარებას როგორც სასწავლო უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კონკრეტულ სასწავლო კურსებში სწავლება შეიძლება ასევე მოიცავდეს ლაბორატორიებს, სამუშაო შეხვედრებს (ვორკშოფებს), სავლე სამუშაოების ხელმძღვანელობას, ექსკურსიებს. სწავლება შეიძლება მოიცავდეს როგორც აქტიურ სწავლებას აუდიტორიაში, ასევე დისტანციურ სწავლებას და ონლაინ კურსების მომზადება-მიწოდებას.

კვლევა

დატვირთვა მოიცავს დარგის შესაბამის კვლევაში, კრეატიულ და ინოვაციურ აქტივობებში მონაწილეობას. კერძოდ, დარგის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებას ან/და კონფერენციებში მონაწილეობას, სამაგისტრო ნაშრომებისა და კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას, კვლევით და საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, კონფერენციებში და ოლიმპიადებში მონაწილე სტუდენტთა ხელმძღვანელობას და სხვა. თითოეული ზემოთ აღნიშნული აქტივობა უნდა იყოს შეთანხმებული აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის.

ადმინისტრაციული საქმიანობა

ადმინისტრირება მოიცავს საზოგადოებრივ და პროფესიულ სერვისებს, კურსის ადმინისტრირებას და მენეჯმენტს, დარგობრივი პროგრამების გადახედვას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობას, სამეცნიერო სტატიებისა და სახელმძღვანელოების რეცენზირება/რედაქტირებას, საგნობრივი საკონსულტაციო საბჭოების წევრობას, კოლეგების შეფასებას (peer review) და სხვა ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია განვითარებასთან; სტუდენტთა და მოწვეული პერსონალის შესარჩევ კონკურსებში მონაწილეობას, სასწავლო უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების სარეკლამო კამპანიებში ჩართულობას, სხვადასხვა კომისიებსა და საბჭოებში მონაწილეობას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისთვის მზადებაში მონაწილეობას, სკოლის/სასწავლო უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობას, სასწავლო უნივერსიტეტის გარეთ მის წარდგენას და პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტების დაცვით მისი რეპუტაციის ამაღლებას.

აფილირების შეთანხმება

აკადემიურ პერსონალთან _____ (თარიღი) _____ გაფორმებული
_____ (ხელშეკრულების ნომერი) _____ ხელშეკრულების დანართი

ქ. თბილისი _____ (თარიღი) _____

ერთი მხრივ, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის
----- სახით („დამსაქმებელი“), მეორე მხრივ, აკადემიური
პერსონალი ----- („დასაქმებული“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. დასაქმებული უნივერსიტეტსა და მას შორის გაფორმებული # -----
შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ----- - დან ----- მდე,
აფილირებულია მხოლოდ შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტთან, სასწავლო
უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის
გაზიარების პროცესებში. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში ახორციელებს
ძირითად საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით/კვლევით საქმიანობას და მისი
სამეცნიერო კვლევითი/კვლევითი საქმიანობის შედეგები ეთვლება შპს საქართველოს ბანკის
სასწავლო უნივერსიტეტს;

2. აფილირების წესის თანახმად დასაქმებული:

2.1 აწარმოებს სამეცნიერო კვლევით/კვლევით საქმიანობას:

ა) დამსაქმებლის რესურსებზე დაფუძნებით;

ბ) დამსაქმებლისა და სხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე
დაფუძნებით (მიეთითოს შესაბამისი დაწესებულება/დაწესებულებები, დაკავებული
თანამდებობების დაფიქსირებით).

2.2 აქტიურად არის ჩართული შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში
საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით/კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან
დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

2.3 აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და
სამეცნიერო კვლევითი/კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

3. აფილირებული აკადემიური პერსონალის აფილირების ვადის გასვლის შემდგომ
აფილირების პერიოდში შექმნილი სამეცნიერო კვლევითი/კვლევითი საქმიანობის
შედეგები, რომელიც შექმნილია მხოლოდ დამსაქმებლის რესურსებზე დაფუძნებით
ეთვლება სასწავლო უნივერსიტეტს, ხოლო - სამეცნიერო კვლევითი/კვლევითი საქმიანობის
შედეგები, რომელიც დაფუძნებულია დამსაქმებლისა და სხვა დაწესებულების
კონსოლიდირებულ რესურსებზე, ეთვლება სასწავლო უნივერსიტეტს და შესაბამის
დაწესებულებას.

4. შეთანხმება ძალაშია -----დან -----მდე.

„დამსაქმებელი“

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო
უნივერსიტეტი
რექტორი,

„დასაქმებული“

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო
უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალი (თანამდებობა)

შენიშვნა: მხარეების მიერ შეთანხმების გაფორმების მიზნებისათვის აუცილებელია დაფიქსირებული იქნას შეთანხმების პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, შეთანხმების შინაარსშივე მისი მონიშვნით.